

ნათელი ქრისტესი საქართველო

The Light of Christ Georgia

Свет Христов Грузия

წიგნი 1

რედაქტორი: როინ მეტრეველი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი • 2003

#539

ელგუჯა ხინთიბიძე

ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა

980-983 წლებში საბერძნეთში, ათონის მთის ცნობილ სამონასტრო კომპლექსში აგებულ იქნა ქართველთა მონასტერი, რომელსაც შემდგომში "ივირონის" სახელი დაუმკვიდრდა. ამ მონასტერში ქართველმა მწიგნობრებმა ჩამოაყალიბეს საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, რომელმაც გადაწყვეტი როლი შეასრულა ძველი საქართველოს საეკლესიო ცხოვრებისა და საზოგადოებრივ-კულტურული აზრის განვითარებაში.

ძველი ქართული სასულიერო აზროვნების განვითარებაზე მნიშვნელოვანი კვალი დაუმჩნევია რამდენიმე მწიგნობრულ სკოლას. ჩვენამდე მოღწეული წყაროების საფუძველზე ათონამდე ორი ქართული სკოლის გამოყოფა შეიძლება: ესენია საბაწმინდისა და ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული ცენტრები.

იერუსალიმის მახლობლად წმიდა საბას ცნობილ სამონასტრო კომპლექსში ქართველებს სასულიერო მოღვაწეობის მძლავრი ცენტრი შეუქმნიათ. ბიზანტიური წყაროები ქართველთა მოღვაწეობაზე საბაწმინდაში V-VI საუკუნეებშივე მიუთითებენ (კირილე სკვითოპოლელის „წმიდა საბას ცხოვრება“ და წმიდა საბას „ანდერძი“). განსაკუთრებით აღსანიშნავია VI საუკუნის დასაწყისში შექმნილი წმ. საბას „ანდერძი“, რომელიც ქართველ ბერებს უფლებას აძლევს, ღვთისმსახურებისას რამდენიმე საღვთისმსახურო წიგნი მშობლიურ ენაზე წაკითხონ. საბაწმინდელ დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის საკმარისია დავასახელოთ: კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიული კორპუსის VII საუკუნის მთარგმნელი სეითი;

ქართული და ბერძნული ორთოდოქსული ეკლესიების დიდი წმიდა მამა, IX საუკუნის მოღვაწე ილარიონ ქართველი; X საუკუნის დიდი ქართველი მწიგნობარი იოანე ზოსიმე ; XI საუკუნის ცნობილი ქართველი ასკეტი, შემდგომში ჯვრის მონასტრის მაშენებელი გიორგი-პროხოვე. საბაწმინდასთანაა დაკავშირებული ქართული ბიბლიის ერთი რედაქციის ჩამოყალიბება: თავის ახლად თარგმნილი ოთხთავის ანდერძში, წმ. გიორგი ათონელი ახსენებს ქართული სახარების ორ რედაქციას — ხანმეტურსა და საბაწმინდურს. საბაწმინდაში განვითარებულა როგორც ქართული ორიგინალური ლიტერატურა (მარტვირი საბაწმიდელი, ბასილი საბაწმიდელი), ასევე მთარგმნელობითი მოღვაწეობა (სეითი). საბაწმინდის ქართულ სალიტერატურო სკოლაში განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმნა. ამ სკოლიდანაა გამოსული იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“, „იერუსალიმის განჩინება“, „ჰილ-ეტრატის იადგარი“ და სხვა საბაწმინდური იადგარები, რომლებიც შექმნილია ან საკუთრივ საბაწმინდაში ან სინის მთაზე, სადაც X საუკუნეში აგებულ ქართულ მონასტერში გაგრძელდა საბაწმინდის სალიტერატურო სკოლის ტრადიციები. საბაწმინდის ლავრა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა საეკლესიო მწერლობის თვალსაზრისით IX-X საუკუნეებში, რაც ბერძენ, არაბ და ქართველ ასკეტ-მწიგნობართა ერთად ცხოვრებამ და თანამშრომლობამ განაპირობა. ამ პერიოდში არაბულ-ქართულ ერთიან სამოღვაწეო არეალში შექმნილად ანდა არაბული ენის მეშვეობით ქართულად დამუშავებულად მიაჩნიათ ქართული სასულიერო მწერლობის ორი შესანიშნავი ძეგლი - „მიქელ საბაწმიდელის მარტვილობა“ და „სიბრძნე ბალავარისა“, რომლებიც შემდგომში სწორედ ათონის ქართულმა მწიგნობრულმა სკოლამ ქართულიდან ბერძნულ მწერლობაში შეიტანა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საბაწმინდის მწიგნობრული ცენტრი სტიმულს აძლევს ათონის ქართველ ღვთისმეტყველებს, რომლებიც ივირონის სავანეში წამოიწყებენ ქართული პრაქტიკისა და ქრისტიანული კანონიკის ახალ, კონსტანტინოპოლის სისტემაზე გადაყვანას. ამ მიმართულებით მოღვაწეობისათვის მასალას ათონელ მწიგნობრებს საბაწმინდის ქართული სკრიპტორიუმიდან ჩამოტანილი ხელნაწერები ძლევდა: ათონზე გრძელდებოდა პალესტინაში დაწყებული ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან მასალას იძლევა პალესტინური წარმოშობის „გოლგოთის თვენი“ - ხელნაწერი H-2337 (ე.მეტრეველი).

და მაინც, უფრო მნიშვნელოვანი ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბებაში, ასევე მისი საქმიანობის ფორმირებაში იყო ტაო-კლარჯეთის ქართული მწიგნობრული ცენტრი. ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლაში დასრულდა მთელი ხანა ძველი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ეროვნული ხანის სახელწოდებითაა ცნობილი და VIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება. VIII- X საუკუნეების ქართულ ლიტერატურას ერთი ტენდენცია ასაზრდოებს: ესაა შეტოლება დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან. ამ ტენდენციამ თავისებური სახე მისცა

#540

მთელ ქართულ ლიტერატურულ პროცესს. სწორედ ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული ცხოვრების უშუალო გაგრძელება და განვითარება იყო ათონის სალიტერატურო სკოლა, რომელმაც არსებითი ცვლილება შეიტანა ქართული ლიტერატურული აზრის განვითარებაში, შეცვალა ინტერესთა სფერო და აიღო ახალი ორიენტაცია.

ზუსტი თარიღი ათონზე სამონასტრო ცხოვრების დასაწყისისა ცნობილი არ არის. ათონელი ბერების გადმოცემით, ათონზე პირველი მონასტრის დამაარსებელია თვით კონსტანტინე დიდი (324-337). მისი მონასტერი შემდგომში იულიანე განდგომილს (361-363) დაუნგრევია; ხოლო აღუდგენიათ იგი თეოდოსი II-ისა (408-450) და პულხერიას დროს (V ს. I ნახევარი). ისტორიულ ჭეშმარიტებად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ განდგეილები ამ მთაზე მომრავლდნენ VII საუკუნიდან. ეს გარემოება განპირობებული იყო იმით, რომ არაბმა დამპყრობლებმა დაარბიეს აღმოსავლეთის დიდი სამონასტრო ცენტრები, რამაც ხელი შეუწყო ბერთა სიმრავლის განთესვას ამ მხარეებიდან და სამოღვაწეო ადგილების ძიებას საკუთრივ ბიზანტიის შიგნით. საისტორიო წყაროებში ათონის მთა სამონასტრო ცენტრად IX საუკუნეში ჩანს. ათონელი ბერები მონაწილეობას იღებენ ხატმებრძოლობის წინააღმდეგ მიმართულ საეკლესიო კრებაში. 885 წლის ოქრობეჭდულობით კი იმპერატორი ბასილი I (867-886) ათონის მთის კონცხს მხოლოდ განდგეილთა და ბერთა კუთვნილ ტერიტორიად აცხადებს. საუკუნეთა მანძილზე ათონი დარჩა არა მხოლოდ საღმრთო მოაქალოების მსურველ ბერთა საცხოვრისად, არამედ იგი გადაიქცა ბიზანტიური სამონასტრო კულტურის მძლავრ ცენტრად. ეს გარემოება კი განპირობებული იყო ასკეტური ცხოვრების განვითარების იმ თავისუბრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ათონზე.

ათონის მთაზე განდგეილად მყოფი ბერები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ქრისტიანული ძმობით გამთლიანებულ კრებულებად, რაც ლავრის სახელწოდებითაა ცნობილი. ერთი ასეთი ლავრა უნდა ყოფილიყო კლიმენტოსი, თანამედროვე ივირონის მონასტრის ახლოს, ხოლო მეორე - უხუცესთა საკრებულო, რომელსაც კათედრასაც უწოდებდნენ, ე.წ. ზიგოსის მაღლობზე. IX საუკუნეშივე ყალიბდება ათონზე სამონასტრო ცხოვრება. პირველი ასეთი მონასტერი დააარსა იოანემ, კოლობოსის აბატმა, ქალაქ იერისოსის მახლობლად. სამონასტრო ცხოვრებამ ტიპური სახე მაინც ერთი საუკუნის შემდეგ მიიღო ათანასე დიდის მიერ 963 წელს დაარსებულ დიდ ლავრაში. სწორედ ათანასეა ათონზე პრინციპული სამონასტრო წესების შემომტანი. მთავარი ამ წესებში ის იყო, რომ მან თავისუფალი განდგეილური ცხოვრება შეცვალა ორგანიზებული, საერთო საცხოვრებლის სისტემით. ამ სიახლემ ათონელ განდგეილ ბერთა და ძველი თავისუფალი საცხოვრისის პრინციპზე ორგანიზებული ლავრების მძაფრი პროტესტი გამოიწვია. ათონზე არსებული განხეთქილების შესასწავლად იმპერატორ ციმისხის (969-976) მიერ გაგზავნილმა ბერმა, ეუთიმიუს სტუდიტმა, ამ კონფლიქტში ათანასეს დაუჭირა მხარი და ათონზე დაკანონდა ათანასე დიდის სამონასტრო ცხოვრების პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა 971 წლის ტიპიკონში და რომელსაც დღემდე ექვემდებარება ათონის მთის სამონასტრო ცხოვრება.

ათანასე დიდის ფართო და მრავალმხრივ შეხედულებას სამონასტრო ცხოვრებაზე მალე გამოუჩნდნენ მიმდევრები არა მარტო ბერძენთა, არამედ სხვა ეროვნების ბერთა მხრიდანაც . მათ შორის ერთ-ერთო პირველები ქართველები იყვნენ.

დაახლოებით 965 წლისათვის მცირე აზიიდან, ოლიმპოს მთიდან, ათონზე ათანასეს ლავრაში სამოღვაწეოდ გადასახლდა ქართველ ბერთა ერთი ჯგუფი დიდგვაროვანი წარმოშობის და ფართო ერუდიციის ბერის - იოვანე ათონელის (ერისკაცობაში გვარად ვარაზვაჩე) მეთაურობით. ქართველთა ჩასახლებას ათანასე დიდის ლავრაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ თვითონ ათანასე (რომელიც დედით ლაზი იყო) ათონზე ოლიმპოს მთიდან მივიდა და იქ ახლო ურთიერთობა ჰქონდა იოვანესთან. მალე, 969 წლამდე, ქართველებმა ათონზე იოვანე მახარებლის სახელობის საკუთარი ეკლესია და საცხოვრებელი სენაკები აიგეს, რასაც ათონზე ქართველთა მომრავლება მოჰყვა. ჯერ კიდევ იოვანე მახარებლის ეკლესიის აგებამდე ათონელ ქართველებს შეუერთდა ქართველთა მეფის, დავით კურაპალატის (961-1001 წწ.), ყოფილი მხედართმთავარი თორნიკე, იოვანეს სახელით ბერად აღკვეცილი. იოვანე-თორნიკეს ათონზე ადრევე დამკვიდრებულ იოვანესთან ერისკაცობაში ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა: იგი იოვანეს ცოლის ძმა იყო. ქართველებმა ათონის მთაზე თანდათან გაითქვეს სახელი. მალე ისინი კონსტანტინოპოლის სამეფო კარზეც დაწინაურდნენ. ამას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: ბიზანტიის ახალგაზრდა იმპერატორს, ბასილის, აუჯანყდა დიდი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც მიიმხრო იმპერიის თურქულ-სელჯუკური მოსახლეობის თემები და სამეფო კარი კატასტროფის წინაშე დააყენა. კონსტანტინოპოლმა დახმარებისათვის ქართველთა სამეფოს მიმართა და დავით კურაპალატთან დესპანად ათონზე მყოფი ყოფილი მთავარსარდალი თორნიკე წარგზავნა. თორნიკემ გაიხადა ბერის სამოსი და თორმეტათასიანი ქართველთა მხედრობით მხარში ამოუდგა ბიზანტიელთა სამეფო ლაშქარს. ბარდა სასტიკად დამარცხდა. ეს იყო 979 წელს. თორნიკე დიდი ნადავლითა და პატივით დაბრუნდა ათონზე. სამეფო კარმა მას უამრავი ოქრო-ვერცხლი უძღვნა, თანაც ქართველებს უფლება მისცა ათონზე საკუთარი მონასტრის აგებისა. ქართველებმა ამ სიმდიდრის ერთი

#541

ნაწილი ბერძენთა მონასტრებს დაურიგეს, მეორეთი კი სამონასტრო მიწა იყიდეს და 980-83 წლებში ათონის კონცხის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დიდი ლავრის მეზობლობაში, ყოფილი კლიმენტოსის საერთო საცხოვრისის ნანგრევებთან ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ქართველთა, ანუ იბერთა მონასტერი - ივირონი (ბერძნული სიტყვა „ივირონი“ ქართულად ნიშნავს - იბერთა, ანუ ქართველთა. ამ პერიოდში ბერძნები ქართველებს „იბერებს“ უწოდებდნენ).

ათონის ქართველთა მონასტერი.

ტიმოთე გაბაშვილის ხელნაწერიდან:

„მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთის ადგილთაჲ“

XVIII საუკუნე



ათონის მთას ქართველები წმიდა მთად მოიხსენიებდნენ. ამიტომაც ძველ საქართველოში ათონზე მოღვაწე ქართველ საეკლესიო პირებს მთაწმიდელები ეწოდებოდათ. მონასტრის პირველი წინამძღვარი იოვანე ათონელი (ანუ მთაწმიდელი) იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ წინამძღვარი იოვანეს ძე ეფთვიმე გახდა, რომელმაც 1019 წელს წინამძღვრობა მათსავე ნათესავს, გიორგი ვარაზვაჩეს, გადაულოცა. ეს უკანასკნელი მონასტერს ხელმძღვანელობდა 1029 წლამდე. ამ სამი პირველი წინამძღვრის ღვაწლით, ფაქტობრივად, დასრულდა ივირონის მთელი კომპლექსის მშენებლობა. ამიტომაც მათ მონასტრის ტრადიცია დღესაც პირველმაშენებელთა სახელით მოიხსენიებს. ქართველთა პატივი და დიდება ათონზე განსაკუთრებით დიდი იყო იოვანეს, იოვანე-თორნიკეს და ეფთვიმეს დროს. XI საუკუნის პირველ წლებამდე ამას ხელს უწყობდა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის კეთილმეზობლური დამოკიდებულება ქართველთა სამეფოსთან. ათანასე დიდიც ძლიერ აფასებდა ქართველებს. მისი გარდაცვალების შემდეგ, ათანასესავე ანდერძით, ბერძენთა დიდი ლავრის სულიერ მზრუნველად, ანუ ეპიტროპად, ჯერ იოვანე ათონელი დაინიშნა, ხოლო შემდეგ ეფთვიმე ათონელი. ქართველთა დაწინაურებას ათონზე ბერძენ ბერთა შური და მტრობა მოჰყვა, რასაც ხელი შეუწყო ბერძენ-ქართველთა ომმა XI საუკუნის 20-იან წლებში. ბერძენმა ბერებმა გადაწყვიტეს ივირონის დასაკუთრება და ქართველთა გაძევება ქართველთა მთიდან. მათ მკვლელიც კი მიუგზავნეს ეფთვიმეს; მესამე წინამძღვარს, გიორგის კი, იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დასწამეს და ათონიდან გადაასახლეს. თვითონ მონასტერი რამდენჯერმე დაარბიეს და გაძარცვეს. ამის საპასუხოდ XI საუკუნის 40-იან წლებში ქართველებმა საიმპერატორო კარზე დაიცვეს თავიანთი ავტორიტეტი და განამტკიცეს მონასტრის შეუვალობა. ისევ აღდგა ივირონის ქართველთა ავტორიტეტი გიორგი ათონელის წინამძღვრობისას (1044-1056). ქართველებმა მონასტრის განმგებლობა XIV საუკუნემდე შეინარჩუნეს. ამ დროიდან კი კონსტანტინოპოლის პატრიარქ

კალისტე პირველის (1350-1363) ბრძანებულების თანახმად, ივირონში წინამძღვრად ქართველები აღარ უნდა დანიშნულიყვნენ, რაც, როგორც ჩანს, ყოველთვის არ ხორციელდებოდა. შემდგომში ბერძნებმა ქართველები აიძულეს, მონასტრიდან საცხოვრებლად ისევ იოვანე მახარებლის სენაკებში გადასულიყვნენ, თუმცა ქართველი ბერები ივირონში თვით XX საუკუნის დასაწყისშიც კი იყვნენ.

ივირონი ქართველთათვის არ იყო მხოლოდ განდევნილ ბერთა თავშესაფარი. იგი დიდ მაშენებელთა რუდუნებით X საუკუნის დასასრულიდანვე საღვთისმეტყველო ცენტრად და ქართული მწიგნობრობის უდიდეს კერად იქცა. ათონის ქართველ მწიგნობართა სკოლა საღვთისმეტყველო იყო არა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ათონელი მოღვაწეები მონაზვნები იყვნენ და მთელი თავიანთი ცხოვრება ღვთისმსახურებას უძღვნეს, არამედ იმიტომ, რომ ათონის ქართულ სავანეში მიმდინარე ინტენსიური მწიგნობრული საქმიანობა მიმართული იყო ქართული სასულიერო აზროვნების და საეკლესიო მოღვაწეობის მსოფლიო ორთოდოქსული ღვთისმეტყველების დონეზე ასამაღლებლად და მის თანასწორად განვითარებისათვის. ათონელი მწიგნობრები ქართულად თარგმ-

#542

ნიდნენ და ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში ამკვიდრებდნენ იმ დროისათვის არსებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო ნაშრომებს, კანონიკურ, ლიტურგიკულ და დოგმატურ ლიტერატურას, რომელსაც ემყარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და, რომელიც ჯერ კიდევ უცნობი იყო X საუკუნის ქართული საეკლესიო ცხოვრებისთვის. საქართველოს ეკლესიის მესვეურები ყურს უგდებდნენ ათონელთა რჩევებს. კერძოდ, ჩვენამდე მოღწეული წყაროები მეტყველებენ, რომ X და XI საუკუნეებში ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრიდან არაერთხელ მიმართეს ათონელ მწიგნობრებს ქართული საღვთისმეტყველო პრაქტიკის არსებით საკითხებზე: გამოიყენონ თუ არა ლიტურგიკულ პრაქტიკაში „წმ. იაკობის ჟამისწირვა“? შეიწყნარებს თუ არა ეკლესია ევსები პამფილელის წიგნებს? რომელ წიგნებს არ შეიწყნარებს ეკლესია? კიდევ უფრო არსებითია, რომ წმ. გიორგი ათონელი ქართველთა მეფის - ბაგრატ IV-ის მიწვევით X საუკუნის 60-იან წლებში უშუალოდ ხელმძღვანელობს ქართული ეკლესიის რეფორმას, რომლის არსი საეკლესიო პრაქტიკაში ძველთან შედარებით უფრო განვრცობილი ახალი ლიტურგიკული პრაქტიკის დამკვიდრება იყო.

ათონელ ქართველთა პრაქტიკული მოღვაწეობა - ეს იყო დიდი სულიერი მოღვაწეობა, წმინდა და მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობით შთაგონებული. ქართველმა მოღვაწეებმა გააგრძელეს და განავითარეს ის ხაზი სამონასტრო ცხოვრებისა, რომელიც წმ. ათანასემ დაამკვიდრა თავის დიდ ლავრაში და მთელ ათონის მთაზე. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს ათონის მთის ქართველ მოღვაწეთა დამსახურება ბიზანტიის სამეფო კარის წინაშე ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. ამ სამოქალაქო ომში ჩართვა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც მხოლოდ თორნიკეს, ყოფილი მხედართმთავრის, პირადი ღვაწლი. იოვანეს

სახელით ათონის მთაზე აღკვეცილი ყოფილი მხედართმთავრის ისევ საერო საქმეებისკენ მიბრუნების, ისევ ხელში მახვილის აღების ბრალი მთელი ათონის მთის მძიმე იდვა თავს. სწორედ ეს გარემოებაა ხაზგასმული წმ. გიორგი ათონელის მიერ, რომელიც აღწერს რა ამ ამბავს, მიუთითებს, რომ სამეფო კარიდან მეფეთა მოწოდების თანახმად კონსტანტინოპოლში წასვლაზე თორნიკემ უარი განაცხადა: „წმიდანო მამანო, - ეუბნებოდა იგი ათანასესა და იოვანეს, - მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წარსლვა, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვის მივმოხე, და ვინაფთა ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისა შევიმოსე, მე ამიერიდან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმერთსა სიყუარულისათვის შემინდვეთ, და ნუ მაძულებთ ამის პირისათვის, რამეთუ, უკეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“ („ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“). მაშინ, როგორც ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, მთელი ცოდვა ამ მოქმედებისა თავს იდევს ათანასე დიდმა და იოვანემ და დაარწმუნეს თორნიკე საერო საქმეებში ჩართვის აუცილებლობაში: „ხოლო უკუანადსკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიღვეს და ძალით დაარწმუნეს წარსლვად“. აღსანიშნავია, რომ ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდგომ ათონის წმიდა მთაზე დაბრუნებულმა იოანე-თორნიკეოფილმა, მორჩილებითა და ღვთისმოსაობით იღვაწა ივირონის მონასტერში და საბოლოოდ იქვე მიაბარა უფალს სული, ხოლო იმ ჯაჭვის პერანგს, რომელიც ბარდას დამარცხების შემდეგ ისევ ათონის მთაზე გაიხადა თორნიკემ, ივირონის ბერმონაზვნობა დღესაც ინახავს, როგორც სიწმიდესა და რელიკვიას.

ათონის ქართული მონასტრის მკვიდრთა მოღვაწეობას იმთავითვე ორი სპეციფიკური ნიშანი ჰქონდა: პირველი ამ მოღვაწეობის ეროვნული შინაარსი იყო. ივირონის პირველმაშენებელთა მთელი შემართება ეროვნული ნიშნით ხასიათდებოდა. გიორგი მთაწმიდელის მითითებით ივირონის მონასტრის მშენებლობა ათონელებმა იმ მიზეზით წამოიწყეს, რომ მათთან სამოღვაწეოდ მოსულ ქართველებს ღირსეულად დახვედროდნენ: „და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა ჩუენთა და თქუეს, ვითარმედ: „აქა ყოფად ჩუენი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართებენ. და ესე გამოარჩიეს, რადთა კიდე თავისუფლად თვსი მონასტერი აღაშენონ.“ იოვანე ათონელის მთელი მოღვაწეობა სწორედ ამ ეროვნული ნიშნითაა გამსჭვალული. იგი თავის ძეს ბავშვობიდანვე სწორედ ეროვნული კულტურის სამსახურს შთააგონებს: „შვილო ჩემო, - მოუწოდებდა იგი მცირეწლოვან ეფთვიმეს, - ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა. აქ ილუაწე, რადთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ („ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“). ჯერ კიდევ XI საუკუნეშივე, ათონის მთაზე ეფთვიმე ათონელის ეს მისია ქართველი ერის წინაშე ბრწყინვალედ შესრულებულად იქნა მიჩნეული. გიორგი მცირე წმ. ეფთვიმეს შესახებ წერდა: „სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივ-თარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთაფთა ნაკლულევანებად ენისა ჩუენისაჲ აღავსო. და რომელნი-ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგურაცხნა

ღმრთისა მიერ მოცემულთა მით სიბრძნითა თვსითა“ („ცხოვრებად გიორგი მთაწმიდელისაჲ“). მეორე მხრივ, იგივე იოვანე უკვე ხანდაზმულობის ასაკში ესპანეთისაკენ მიისწრაფოდა ქართველთა კვალის საძიებლად: „რამეთუ ასმიოდა, - განმარტავს აგიოგრაფი, - ვითარმედ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერი მკვდრ არიან მუნ. და ამის პირისათვს წარვიდა...“ („ცხოვრებად იოვანესი


#543

და ეფთვიმესი“). ეს შთაგონება ეროვნული საქმისადმი სამსახურისა განმსჭვალავს ეფთვიმეს მთელ მოღვაწეობას. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მას არც ერთი დღით არ დაუტოვებია ათონელ ქართველთა ძმოება და, როცა ერთგზის ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ (976-1025) ეფთვიმეს კვიპროსის მთავარეპისკოპოსობა შესთავაზა, მან უარი განაცხადა. ეფთვიმეს ამ გადაწყვეტილების ერთი მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ კვიპროსზე საეკლესიო საქმეთა განმგებლობა ეროვნულ საქმეს და ქართველთა ძმოებას ჩამოაშორებდა.

ათონის მთის ქართველ ბერ-მონაზონთა მოღვაწეობის მეორე სპეციფიკური ნიშანი მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა იყო. იოვანეს მოწოდებაში თავისი შვილისადმი ეროვნული იდეალის გვერდით აშკარად გამოსჭვივის მწიგნობრული იდეალი. იოვანე ეფთვიმეს იმთავითვე სულიერი, მწიგნობრულ-მთარგმნელობითი საქმიანობისათვის ზრდიდა. ამ თვალსაზრისით აფასებს მთელ საკუთარ, და ასევე თავისი შვილის, მოღვაწეობას იოვანე სიკვდილის წინ თავის ცნობილ „ანდერძში“: „მე, გლახაკი ესე, და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოვანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათვს, რომელ ესრეთ ქუეყანაჲ ქართლისაჲ ნაკლულევან იყო წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოღუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთვმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისა ენისაგან ქართულად“.

იდეალი მწიგნობრობისა არსებითია ღვთისა და სამშობლოს სამსახურში მყოფ დიდ ათონელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. როგორც ეფთვიმემ, ასევე გიორგი მთაწმიდელმა, წინამძღვრობაზე უარი თქვეს, რათა მთელი არსებით მთარგმნელობით მოღვაწეობაში ჩართულიყვნენ. ეფთვიმე 1019 წელს ამ მიზეზით გადადგა ივირონის წინამძღვრობიდან, ხოლო გიორგიმ 1056 წელს იმავე მიზეზით დატოვა ათონი და შავი მთის ქართველთა სავანეს მიაშურა. უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს ნაბიჯი ეფთვიმესა და გიორგის მიერ არ ყოფილა გადადგმული მხოლოდ პირადი მიზანსწრაფვით. მწიგნობრობა ათონელ ქართველთა მთელი ძმობის იდეალია. სწორედ ამ მიზეზით აიძულებდნენ ეფთვიმეს წინამძღვრობიდან გადადგომას დიდი წმიდა მამები არსენი ეპისკოპოსი და იოვანე გრძელისძე: „აღასრულნა წმიდამან მამამან ჩუენმან ეფთვმი ათოთხმეტისა წლისა ჟამნი, შემდგომად მამისა თვსისა აღსრულებისა, წინამძღვრობასა შინა და მერმე ვედრებითა ზემოკსენებულთა მათ წმიდათა ბერთაჲთა - არსენი ეპისკოპოსისაჲთა და იოვანე გრძელის ძისაჲთა - იჯმნა წინამძღვრობისაგან. რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ

მიზეზითა მრავალფეროვან ზრუნვათადა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთადა, და ესრეთ მოიცალა და თვსსა სენაკსა დაჯდა“ („ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“). ასევე ემდუროდა თავის აღზრდილს, გიორგი ათონელს, მოძღვარი გიორგი შეყენებული და აიძულებდა, თავი დაენებებინა ათონზე პრაქტიკული საქმიანობისათვის და მწიგნობრობისათვის მიეყო ხელი: „ეუწყა მას ნეტარსა ბერსა, მოძღუარსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღდელობისა პატივი მიუღებდეს და არცა წერილთა თარგმნად უწყდეს. შეწყუნა ფრიად და წარმოავლინა



წმ. გიორგი მთაწმიდელი. იოანე და ეფთჳმე მთაწმიდელების ცხოვრება. 1074 წელი

#544

შავით მთით მოწაფე თვსი, კაცი ღირსი და სახიერი სახელით იოვანე და დიდი მღურვად მოუმცნო არა აღსრულებისათვის ნებისა მისისა“ („ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“). მონასტერს საკმაოდ მკაცრი განწესება ჰქონდა წესრიგის დასაცავად და თვითნებობის თავიდან ასაცილებლად. მონასტერში კურთხევის გარეშე დაუშვებელი იყო ზეთის შემენაც კი. გამონაკლისი დაშვებული იყო მწერალთათვის და ღვთისმსახურების დროს მკითხველებად განწესებული პირებისათვის, რასაც ეს სიტყვებიც ადასტურებს: „ესე კულა სყიდად გინა ღვინსა, გინა თევზისა, ყოლადვე არა კსენებულ არს მონასტერსა შინა თვნიერ ზეთისა, და იგიცა, რომელნი მკითხველნი იყვნიან, ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან“ („ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“).

ფასდაუდებელია ათონის ივირონის მონასტრის მნიშვნელობა ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის. იქ მეოფმა ქართველმა ბერებმა სულის ამოსვლამდე იღვანეს და უმდიდრესი ნამუშავევით, პირნათელნი წარდგნენ ზეციური მეუფის წინაშე. უაღრესად ნიშანდობლივი და საგულისხმოა ის სიტყვები, რომლებიც სიწმიდესა და ღვთისმსახურებაში დამაშვრალ წმიდა მამათა შესახებ ითქვა: „და შეკრბნეს მას შინა მონაზონნი და მოწესენი

ანგელოსთა მობაძავნი და შეამკვნეს და აღაყვავნეს ენად ჩუენი და ქუეყანად თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა“. იგივე თეზისი განმეორებულია გიორგი მცირის მიერ ეფთვიმე ათონელის დვაწლის შეფასებისას: ეფთვიმემ, - ჰაგიოგრაფის მითითებით, - ნაკლულოვანება ქართული მწელობისა „სრულიად განწმიდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა ... რომელნი იგი წმიდისა ამის მთისაგან და ღმრთივ-აღშენებულისა ლავრისა პირსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისასა მიეფინნეს“.

ამგვარად, ათონის მთის ქართველთა მონასტერი მოწოდებული იყო ქართული ეროვნული კულტურის სამსახურისათვის. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ივირონში ჩამოყალიბდა ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, რომელიც ქართული ლიტერატურისა და თეოლოგიის უდიდეს ცენტრად იქცა. „იგი შეიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთიანებდა“ (ივანე ჯავახიშვილი). ათონის მონასტერი „გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი“ (კორნელი კეკელიძე). ათონის ლიტერატურულმა სკოლამ ეფთვიმე ათონელის მეთაურობით ქართული ლიტერატურისა და აზროვნების განვითარებას ახალი მიმართულება მისცა, რამაც მომავალში განაპირობა ქართული კულტურისა და აზროვნების მსოფლიო სარბიელზე გამოსვლა, ევროპული აზროვნების წინა ხაზზე მოქცევა. ეროვნული ინტერესით შთაგონებული ქართველი მწიგნობრების ბერძნული კულტურის წიაღში შეჭრამ ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის საქმიანობას თავისებური სახე მისცა.

იმისათვის, რომ გააზრებულ იქნეს ის პრინციპული სიახლე, რომელიც ათონის ლიტერატურულმა სკოლამ ჩვენს მწერლობაში მოიტანა, თვალი უნდა გადავავლოთ ქართული ლიტერატურული აზროვნების განვითარებას ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბების წინა პერიოდში. ქართული ლიტერატურის ისტორიაში VIII-X საუკუნეების მწერლობას ეროვნული ხასიათის მწერლობას უწოდებენ (კ. კეკელიძე). ეროვნული გზით ამ პერიოდის მწერლობა, პირველ რიგში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ წაიყვანა: ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ, ზრუნვა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ურთიერთკავშირისა და გაერთიანებისათვის განაპირობებდა ლიტერატურული და კულტურული განვითარების ეროვნულ მიმართულებას. ამავე გზაზე აყენებდა ქართულ ლიტერატურას რამდენიმე არსებითი მომენტი ქვეყნის საეკლესიო-კულტურული ცხოვრებიდან, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

1. მკვეთრი გამოიჯვნა მონოფიზიტური სომხური ქრისტოლოგიისაგან.

როგორც წყაროები გვიდასტურებენ, ეს გამოიჯვნა, რა თქმა უნდა, თვალსაჩინოა IV მსოფლიო საეკლესიო კრების გამართვის წლიდან (451 წ.), რაც კიდევ და კიდევ უფრო წარმოიჩენილი ხდება მომდევნო საუკუნეებში, როდესაც სარწმუნოებრივი განუყოფლობა ბიზანტიურ

ეკლესიასთან საეკლესიო მწერლობასა და, ზოგადად, საეკლესიო მოღვაწეობის ყველა ასპექტში ავლენს თავს. ესაა საქართველოში მართლმადიდებლობის ისტორიის გაუმრუდებელი გზა, გამოხატულების ფორმით თანდათანობით უფრო განვრცობადი, რასაც განუყოფლად შეერთვოდა ეროვნული ცნობიერება. VIII საუკუნის დასასრულიდან ამგვარი საეკლესიო-იდეოლოგიური კურსი კიდევ უფრო გამოიკვეთა. ამავე პერიოდიდან თანდათან კლებულობს ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობაც, რაც განპირობებულია სომხური ქალკედონურ-დიოფიზიტური ფრაქციის დასუსტებით.

2. ბერძნებთან ეროვნულ-კულტურული მეტოქეობა.

ეს მომენტი გამოიკვეთა VIII საუკუნის დასასრულის — მწერლის იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბო ტფილელის წამება“. („...არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორეულთა ამათ მკვდრთა... აჰა, ესერა ქართლისაცა მკვდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვთ აქა მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის

#545

ჟამიდ-ჟამად...“). ამ იდეის პირდაპირი განვითარებაა X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის — იოანე-ზოსიმეს მნიშვნელოვან ძეგლში - „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, რომელშიც ქართული ენა არა თუ გათანასწორებულია ბერძნულთან, არამედ მას ერთგვარი უპირატესობაც კი ენიჭება. იგივე თვალსაზრისია გატარებული საისტორიო თხზულებაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული IX საუკუნის ბოლოდან ჩანს. ეროვნულ თვითშეგნებაში თანდათანობით დამკვიდრდა უძველესი ვერსია ქართლის განმანათლებლის, წმიდა ნინოს უშუალოდ იერუსალიმიდან მოსვლის შესახებ.

3. ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკაში მძლავრი ნაციონალური ელემენტის შეჭრა.

ამ პერიოდში უფრო მკვეთრად მოჩანს ორიგინალური ეროვნული ჰაგიოგრაფიის განვითარება. იწერება და ქართულ პრაქტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველ ეროვნულ წმინდანთა „ცხოვრებანი“. დაწესებულ იქნა წმინდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმინდანებისა და სხვადასხვა ეროვნული თარიღის აღსანიშნავად, რამაც ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკა დააცილა ბიზანტიურს. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესო ძეგლია იოანე-ზოსიმეს „კალენდარი“. წელთაღრიცხვის ქართულ სისტემაზე წარმოდგენას გვაძლევს იოანე-ზოსიმეს თხზულება „...გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა, თვეთა და დღეთა...“.

დიდი თავისებურება გამოუჩენიათ ქართველებს ლიტურგიკულ მწერლობაში. შეუვსიათ ლიტურგიკული კრებულების შედგენილობა. მაგრამ ქართველ ჰიმნოგრაფებს - მიქაელ მოდრეკილს, , იოვანე მინჩხს, იოვანე მტბევარს, სტეფანე ჭყონდიდლეს, იოვანე ქონქოზისძეს

და სხვებს - ორიგინალური ჰიმნებით შეუვსიათ ისინი და ქართულ პრაქტიკაში დაუკანონებიათ. ჩვენში ამ პერიოდში ვლინდება ე.წ. თავისუფალი სტილით თარგმნის მეთოდი. ქართველ მთარგმნელებს ცვლილებები შეაქვთ ბერძნულ ტექსტში. მრევლის სულიერი მომზადების შესაბამისად უმატებენ ან აკლებენ ტექსტს ისე, რომ თარგმნილი თხზულებანი სრულიად ახალ რედაქციას წარმოადგენენ. ამიტომაც შემდეგ პერიოდში ასეთ თარგმანებს „ქართულს“ უწოდებდნენ.

ამგვარი ლიტერატურული მიმართულების პერიოდში ჩამოყალიბდა ათონის ლიტერატურული სკოლა. მისმა მესვეურებმა ძველი ქართული ლიტერატურული ტრადიციიდან იმეძკვიდრეს ღრმა ეროვნული ინტერესი, მაგრამ ამ ეროვნულმა ინტერესმა ათონელი მწიგნობრები ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის დაპირისპირებიდან ბიზანტიურ მწერლობასთან მაქსიმალურ დაახლოებამდე მიიყვანა. ბიზანტიასთან კულტურული მეტოქეობის იდეით შთაგონებული ქართველები მოხვდნენ რა ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის დიდ ცენტრებში - ოლიმპოს მთაზე, შავ მთაზე, ათონის მთაზე, საღვთო შურით დაეწაფნენ ბერძნულ მწერლობას. დიდი ქართველი მოღვაწეები დღითი დღე რწმუნდებოდნენ, რომ ბიზანტიური მწერლობა ამოუწურავია, რომ ქართველთა ქვეყანა ბიზანტიასთან შედარებით წიგნებით ღარიბია. ეს გარემოება უკვე ნათლადაა გააზრებული „იოვანე ათონელის ცნობილ მიმართვაში თავისი ძის, ეფთვიმესადმი: „შვილო ჩემო, ქართლის ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლიან...“, ან კიდევ იმავე იოვანეს „ანდერძში“: „ქუეყანაჲ ქართლისაჲ ნაკლულოვან იყო წიგნთაგან...“.

ქართველთათვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ თავისებურებანი ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკაში შეიძლებოდა ახსნილიყო არა ქართული მწერლობის თავისთავადობითა და ორიგინალურობით, არამედ მისი არქაულობით მათ თანადროულ ქრისტიანულ პრაქტიკასთან შედარებით. ბიზანტიურ ეკლესიასა და ლიტერატურასთან გატოლების სურვილი მოითხოვდა ქართული სასულიერო მწერლობის ხარვეზის ამოვსებას და ათონის ლიტერატურულმა წრემაც ახალი კუთხით წარმართა მუშაობა. სამწერლობო მოღვაწეობამ ახალი კალაპოტი გაჭრა. ეს სიახლე ზოგადად ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ (ე. ხინთიბიძე, „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“).

1.წინა ეპოქის განსაკუთრებული ინტერესი ორიგინალური ლიტერატურული საქმიანობისადმი შეიცვალა მთარგმნელობითი მოღვაწეობით. მთარგმნელობამ დიდი ეროვნული მნიშვნელობა შეიძინა. ქართველები შეეცადნენ უმოკლეს ვადაში ამოეწურათ ბიზანტიური საეკლესიო მწერლობა, ეთარგმნათ ქართულად ყველაფერი, რაც ამდენ ხანს ქართულ ენაზე არ არსებობდა. ჰაგიოგრაფები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ შეუსვენებლივ შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც ეფთვიმე და გიორგი ათონელები ეწოდნენ: „იგი სანატრელი შეუსვენებლად თარგმნინ და რადთურთ არა სცემდა განსუენებასა თავსა თვსსა, - წერს გიორგი მთაწმინდელი ეფთვიმეს შესახებ, - არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა

წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ, რამეთუ თარგმნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხუჲაჲ კნინ-ღა შეუძლებელ“ („ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“). „რომელ-ესე მოსაგონებლადჲა დიდ არს, - წერს გიორგი მცირე გიორგი ათონელის შესახებ, - ვითარმცა ესოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხოვრებასა შინა თჳსსა აღწერნა. არა რომელმცა ბერძნულისაგან სრულად თარგმნა, ვითარ-ესე კაცმან აჲან საკჳრველმან მაღლად და ღმრთივ-ბრწყინვალედ აღწერნა“. ქართველი მოღვაწეები დაუცხრომელი შთაგონებით აგრძელებდ-

#546

ნენ ერთმანეთის საქმიანობას, შთამომავლობიდან შთამომავლობას გადასცემდნენ ამ ინტერესს. ეფთჳიმე ათონელის, გიორგი ათონელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და სხვა მათი თანამედროვეების საქმიანობამ XII საუკუნის შუა წლებისთვის ბოლომდე მიიყვანა ეს შთაგონება: ქართულ ენაზე გადმოითარგმნა თითქმის ყველაფერი მოწინავე და საუკეთესო, რაც ბიზანტიურ მწერლობაში არსებობდა.

2. ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის მიზნები მოითხოვდა, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო წიგნები სრულყოფილად ეთარგმნათ ქართულ ენაზე, რათა ქართველ მკითხველს წმიდა მამათა სწავლანი მშობლიურ ენაზე შეეთვისებინა. ეფთჳიმე თავისი მთარგმნელობითი მეთოდით თავისუფალი თარგმანის პრინციპებს მისდევდა და უმაღლეს დონეზე აიყვანა კიდევ თარგმნის ეს პრინციპი. ეფთჳიმეს ამგვარი მთარგმნელობითი მეთოდი გამართლებული იყო მისი მიზანსახელობითაც: ეფთჳიმე, როგორც ამას ეფრემ მცირე აღნიშნავს, ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ქართველი მკითხველისათვის განზავებული და განმარტებული ტექსტი მიეწოდებინა, რადგანაც იმ დროს „ნათესავი ქართველთა სიჩჩოებისა შინა იმყოფებოდა“ და რძით კვებას საჭიროებდა. თანაც ცდილობდა, სწრაფად ამოეცო ქართული მწერლობის ხარვეზი. ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკული საჭიროებისათვის ძალზე დიდი ლიტერატურა იყო ერთბაშად ასათვისებელი. ამიტომაც ეფთჳიმე შემოკლებულ თარგმანებს აკეთებდა. შემოკლებული ტექსტი კი, ბუნებრივია, განმარტებას კიდევ უფრო მოითხოვდა. ეს გარემოება მოითხოვდა იმას, რომ ეფთჳიმე, როგორც მისი საქმის დიდმა გამგრძელებელმა ეფრემ მცირემ შენიშნა, თარგმნიდა ე.წ. „კლება-შემატების“ მეთოდით. ეფთჳიმემ ქართულ ენაზე თარგმნა შემოკლებული რედაქციები რამდენიმე აუცილებელი ლიტერატურული ძეგლისა: „წინამძღუარი“, რომელიც წმ. იოანე დამასკელის რამდენიმე ნაშრომის (ძირითადად „გარდამოცემის“, „სამწმიდაობის საგალობელი“, „ორთა ბუნებისათვის“), ანასტასი სინელის „წინამძღვრის“, მიქაელ სვინკელოსის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ“ და მსოფლიო კრებების საქმეების (ნ. ჩიკვატია, „ეფთჳიმე მთაწმიდლის „წინამძღვარი“) გადამუშავებას წარმოადგენდა; „მცირე სვინაქსარი“, „მცირე რჩულის კანონი“, „მცირე კურთხევანი“ და სხვა. შემდგომში კრიტიკულად შეხედეს ექვთიმეს მთარგმნელობით მეთოდს. ჯერ იყო და, გიორგი ათონელი, რომელიც თავიდან თარგმნიდა ეფთჳიმეს მიერ გადმოქართულებულ ზოგიერთ წიგნს, თავის „ანდერძში“ ურთავს შენიშვნას, რომ დიდი

წმიდა მამა თვითონ აღარ იყენებდა თავისსავე თარგმნილ „დავითნს“, რადგანაც იგი გადამწერთა მიერ დამახინჯებული იყო. ეფრემ მცირე კი XI საუკუნის 60-იან წლებში „გამოდიებად ჯელ-ყოფს“ ეფთვიმეს თარგმანებს. ცდილობს ახსნას, თუ რამ განაპირობა წმ. ეფთვიმის მიერ „კლება-შემატების“ მეთოდის გამოყენება და ასკვნის, რომ ეს სტილი უკვე აღარ შეესაბამება ქართული საზოგადოების გაზრდილ საღვთისმეტყველო და ლიტერატურულ ინტერესს.

თავისუფალი თარგმანის მეთოდის შეცვლა გიორგი ათონელის სახელთანაა დაკავშირებული. გიორგიმ, პირველ რიგში, ბიბლიური წიგნების ზუსტი ქართული რედაქციების ჩამოყალიბებას მიაქცია ყურადღება. გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულ ტექსტთან უფრო ახლოსმისვლის მიზნით თავიდან თარგმნა „სახარებაც“ და „დავითნიც“, გარდა ბიბლიური წიგნებისა - ეფთვიმეს მიერ ერთხელ უკვე თარგმნილი სხვა სასულიერო წიგნებიც. ბერძნული ტექსტის სიზუსტით გადმოტანის პრინციპი თანდათან ვითარდებოდა. ეფრემმა გიორგის თარგმნილი „სამოციქულო“ სიტყვასიტყვით შეუდარა ბერძნულ დედანს და თარგმანი დაუახლოვა ორიგინალს; ოღონდ, თავისი შენიშვნები მან არშიაზე გამოიტანა და ანდერძიც დაწერა, რომ ისინი გიორგის თარგმანში არ ჩაერთოთ. ეფრემი ბერძნულ ტექსტთან სიახლოვის თვალსაზრისით აკრიბიის სიმაღლეზე ადის, მაგრამ ბერძნული ტექსტის ზუსტად გადმოღების პრინციპი გაცილებით მეტს მოითხოვდა, და უფრო დაუახლოვდნენ ორიგინალს გელათის სკოლის მოღვაწეები - არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი.

3.დიდ ათონელთა მწიგნობრული მოღვაწეობა საღვთისმეტყველო ინტერესით იყო შთაგონებული. ქართული ღვთისმსახურება X საუკუნისათვის დაფუძნებული იყო ძველი რედაქციების საეკლესიო წიგნებზე (რომლებიც იმდროინდელ ბიზანტიურ პრაქტიკაში აღარ გამოიყენებოდა) და ძველ, იერუსალიმური წარმოშობის ლიტურგიკულ და კანონიკურ საეკლესიო წესებზე. საეკლესიო პრაქტიკა ახალ - კონსტანტინოპოლის ტიპიკონს მისდევდა. ქართული ეკლესიის წინაშე იდგა დიდი ამოცანა: არ მოსწყვეტოდა ახალი საეკლესიო პრაქტიკის პროცესს. ამ მისიის აღსრულება თავს იდგა ათონის ლიტერატურულმა სკოლამ. გარდა ამისა, ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული წმინდა ნაწერები, ხშირ შემთხვევაში, ორიგინალთან შინაარსობრივი თანხვედრისა და სიზუსტის თვალსაზრისით, ნაკლებოვანი იყო. ათონის ლიტერატურულმა სკოლამ მიზნად დაისახა ქართული სასულიერო პრაქტიკის ახალ ლიტერატურულ საფუძველზე გადაყვანა. ათონელი ქართველები თავიანთ თარგმანებს იმთავითვე საქართველოში, სამეფო კარზე გზავნიდნენ. „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა“, მიუთითებს ეფთვიმეს ჰაგიოგრაფი. საქართველოდანაც ეკითხებოდნენ ათონელ ღვთისმსახურებს ჩვენში არსებული საეკლესიო წიგნების კანონიკურობაზე. წმ. გიორგი ათონელი, დაამთავრა რა სასულიერო წიგნთა თარგმნა, ბაგრატ IV-ის მოწვევით საქართვე-

#547

ლოში ჩამოვიდა, სადაც მან 1060-65 წლებში საეკლესიო რეფორმა განახორციელა. ამ რეფორმის ერთი უმთავრესი მხარე ქართულ სინამდვილეში ბიბლიური და უმთავრესი ლიტურგიკულ-კანონიკური წიგნების ახალი რედაქციების დამკვიდრება იყო. ქართული საეკლესიო ცხოვრების გიორგი ათონელის მიერ წამოწყებული რეფორმა დაასრულა დავით აღმაშენებელმა (1089-1125) 1104 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე.

ათონელი ქართველი მოღვაწეები თავიანთი დიდი ერუდიციით და ავტორიტეტით ბიზანტიის სამეფო კარზე და საეკლესიო წრეებში საქართველოს ეკლესიისა და, საერთოდ, მართლმადიდებლობის სადარაჯოზე იდგნენ. 1057 წელს ანტიოქიის საპატრიარქოში პატრიარქ თეოდოსის წინაშე წმ. გიორგი მთაწმინდელმა დაიცვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და, ამავე დროს, წარმოაჩინა ქართველთა მტკიცე და შეუორგულებელი სარწმუნოება, რაც ისტორიის მიერ იყო დადასტურებული. 1065 წელს იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ სამეფო კარზე სტუმრად მისულ წმ. გიორგი ათონელს ქართულ-ბერძნული და რომაული ქრისტიანული რწმენის საკითხებზე ჰკითხა და ბერძენ, რომელ და სომეხ დიდებულთა და მღვდელმთავართა წინაშე ბერძნულ-რომაული საეკლესიო განხეთქილების საკითხებზე არბიტრობა მოსთხოვა. წმინდა მამამ დაიცვა ქართველთა ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცე, დაგმო სომეხთა განდგომილობა და წარმოაჩინა მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტება. წმ. გიორგი ათონელის პასუხებმა დიდი მოწონება დაიმსახურა ბიზანტიის სამეფო კარზე. და, რაც უფრო არსებითია, ეს პასაჟი „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“, ალბათ, სწორედ ივირონის ქართული მონასტრის მეშვეობით, ცნობილი გახდა ლათინელ ქრისტიანთა წრეში. იგი XIII საუკუნეში უთარგმნიათ ბერძნულ და ლათინურ ენებზე და დღემდე შემონახულია XIV სუკუნის ლათინური ხელნაწერებით.



მცირე სვინაქსარი.


თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა.
ლაზარეს აღდგინება.

1030 წ.

ათონელ მწიგნობართა საქმიანობა ძირითადად იმ ლიტერატურული საგანძურით უნდა შეფასდეს, რომელიც მათ უთარგმნიათ ბერძნულიდან ქართულად. განსაკუთრებული ადგილი ამ მხრივ ეფთვიმე ათონელს უნდა მიეკუთვნოს. ამის თაობაზე ეფთვიმეს ბიოგრაფი შენიშნავდა: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. ეფთვიმეს თარგმანთაგან, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ბიბლიურ წიგნთა, „სახარებისა“ და „დავითნის“, ახალი ქართული რედაქციების შექმნა; შემდეგ ქართული სასულიერო ცხოვრების პრაქტიკისათვის აუცილებელი დოგმატიკურ-კანონიკური და ლიტურგიკული კრებულები: „მცირე სვინაქსარი“, „მცირე სჯულის კანონი“, „მცირე კურთხევანი“, „წინამძღუარი“ (იოანე დამასკელიდან) და სხვა; ასევე აპოკრიფული ლიტერატურული ძეგლები: „ავგაროზი“, „ქება და დიდება... მარიამისა“, „მოციქულთა აპოკრიფული საქმეები“ და სხვა მრავალი; უმდიდრესი ეგზეგეტიკურ-ჰომილეტიკური ლიტერატურა, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: ანდრია კრიტელის „თარგმანი იოანე მახარებლის გამოცხადებისა“, იოვანე ოქროპირის „თარგმანებად იოვანეს სახარებისა“ და „თარგმანებად მათეს სახარებისა“, ბასილი კესარიელის „სწავლანი სულიერნი“, გრიგოლ ჰრომთა პაპის „დიალოლონი“, იოვანე სინელის „კლემასი“, ეფრემ ასურის „სწავლანი“, იოვანე დამასკელის

#548

„შობისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა“, იოვანე ოქროპირის „მარგალიტი“; დიდძალი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის შედეგები: ათანასე ალექსანდრიელის „ანტონ დიდის ცხოვრება“ და გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილი დიდის ცხოვრება“, ასევე სვიმეონ მეტაფრასის „წამებანი“ კლიმენტოს ჰრომთა პაპისა, პროკოპი დუქსისა, წმინდა გიორგისი და სხვა მრავალი.



წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის სვინაქსარი.

XI ს.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო თავისი თარგმნილი ლიტერატურული ძეგლებით მეორე დიდი ათონელი მწიგნობარი გიორგი მთაწმიდელი (ათონელი), რომლის თარგმანები, როგორც მისი ბიოგრაფი, გიორგი მცირე, აღნიშნავს, სხვადასხვა სახისა იყო: ერთი ნაწილი ამ თარგმანებისა მანამდე ქართულ ენაზე არ არსებობდა, მეორე კი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დამახინჯებული სახით მოღწეული. გიორგი სრული სახით თარგმნიდა ასევე ეფთვიმეს მოკლედ თარგმნილ ბერძნულ ლიტერატურას, ადარებდა ბერძნულ დედნებს და სრულყოფდა მათ: „რამეთუ რომელნიმე წიგნნი სრულიად არყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვა, ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და, უგუნურთა მკმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმიდისა მის გონებისა თვისისა გამოადნვნა და გამოაჯურვნა. ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცალოებისაგან ვერ სრულქმულნი, არამედ სულმცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა. კუალად სხუანი რომელნიმე — ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინვნა“. გიორგი მთაწმინდელმა ბერძნულ დედანთან ზუსტად მისვლის მიზნით თავიდან თარგმნა ქართულად მთელი „ახალი აღთქმა“ (იოანე ღვთისმეტყველის „აპოკალიფსის“ ანუ „გამოცხადების“ გარდა) და „დავითნი“. მისი თარგმანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ კანონიკურ ტექსტად იქნა აღიარებული. მართალია, გიორგი თეორიულად თითქოს იცავდა თავისუფალი თარგმანის პრინციპს და „დავითნის“ საკუთარი თარგმანის ანდერძში მიუთითებდა: „ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვრთავს და, რომელი ჯერ იყო, დაგვკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოუვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდაო“, მაგრამ პრაქტიკულად მან შეავსო ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი რამდენიმე ძეგლი. წმ. გიორგიმ, წმ. ეფთვიმესგან განსხვავებით, თარგმნა ვრცელი რედაქციები - „დიდი სვინაქსარი“, „დიდი კურთხევანი“, „დიდი პარაკლიტონი“, „დიდი მარხვანი“. წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი ლიტერატურა მოიცავს საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგს. გარდა ზემოთ დასახელებული ბიბლიური და ლიტურგიკული წიგნებისა, განსაკუთრებით პოპულარული იყო ძველ საქართველოში გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ბასილი დიდის „ექუსთა დღეთად“; გრ. ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“; ჰაგიოგრაფიული ჟანრის მნიშვნელოვანი ძეგლი - „წამებაჲ წმიდისა გიორგისი“. მის თარგმანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ ძეგლებს, როგორიცაა: „საწინასწარმეტყუელოჲ საწელიწდოჲ“; გრიგოლ ნეოკესარიელის „სიმბოლო სარწმუნოებისა“, აგრეთვე, ათანასე ალექსანდრიელისა, ფოტი პატრიარქისა; თეოდორე სტუდიელის „სწავლანი“.

#549

ათონელ მთარგმნელთაგან ჩვენამდე შემონახული ლიტერატურული მემკვიდრეობით ცნობილია კიდევ მხოლოდ ორიოდ მთარგმნელის სახელი. ესენია სტეფანე ათონელი და

თეოფილე ხუცესმონაზონი. სტეფანეს, გვიანდელი გადმოცემის თანახმად, იოვანე ოქროპირის თხზულებათა ორი კრებული უთარგმნია, რომლებიც ცნობილნი არიან შემდეგი სახელწოდებით: „კლიტე“ და „ფუტკარი“. დღეისათვის მხოლოდ ამ უკანასკნელის ფრაგმენტებია მოღწეული. სტეფანე გიორგი ათონელის თანამედროვეა. თეოფილე ხუცესმონაზონი კი გიორგი ათონელის მოწაფე უნდა ყოფილიყო. იგი აგრძელებს ქართულ ენაზე ეფთვიმეს მიერ დაწყებულ საქმეს - სვიმეონ მეტაფრასის ჰაგიოგრაფიული საკითხავების თარგმანს. კერძოდ, უთარგმნია მეტაფრასული საკითხავები სექტემბრის თვისა სრული სახით და ნაწილი - ნოემბერ-დეკემბრისა. მასვე დაუტოვებია ძალზე სინტერესო ცნობები სვიმეონ მეტაფრასის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. თეოფილეს უთარგმნია ჰომილეტიკური შრომები იოანე დამასკელის, ასტერიოს ამასიელის, ანასტასი სინელის, კირილე ალექსანდრიელის, იოვანე ოქროპირის; პოლემიკურ-დოგმატიკური ტრაქტატები თეოდორიტე კვირელის და ეპიფანე კვიპრელის; იოვანე ოქროპირის „სწავლანი“ და „თარგმანებაჲ დაბადებისაჲ“. თეოფილეს ხელმეორედ, უფრო სრული და ზუსტი სახით, უთარგმნია ეფთვიმეს თარგმნილი „პატერიკი“.



გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი. თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა.

XI საუკუნე

მთარგმნელობითი საქმიანობა დიდ ათონელთა ლიტერატურული მოღვაწეობის მაინც ერთი მხარე იყო. ათონის მთაზე შეიქმნა ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების ბრწყინვალე ორიგინალური ძეგლები. მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ორი უმნიშვნელოვანესი ჰაგიოგრაფიული ძეგლი. გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთემესი“ და გიორგი მცირის „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისა“, დაწერილი ათონის მთაზე XI საუკუნის 40-იან და 60-იან წლებში. დასახელებული თხზულებანი მრავალსაუკუნოვანი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის კანონზომიერ განვითარებას წარმოადგენენ. გამოირჩევიან თავიანთი ნატიფი ქართული ლიტერატურული ენით, მხატვრული სტილის ორიგინალობით და ემოციურობით, ბიბლიურ-პატროლოგიური წყაროების უხვი გამოყენებით. ამ ლიტერატურულ ძეგლებში ისტორიული ფაქტების ზუსტი მოხმობითაა გადმოცემული ქართველთა სამონასტრო ცხოვრების დასაწყისი ხანა ათონის მთაზე, ბერძენ-ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა X-XI საუკუნეებში, ათონის დიდ მაშენებელ იოვანეს, თორნიკეს, ეფთვიმესა და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა. ორივე ძეგლი გამსჭვალულია მაღალი

სარწმუნოებრივი სულიერებით, ეროვნული შეგნებით და ქართველი ხალხის ინტელექტუალური აღორძინების დიდი შთაგონებით.

ათონის მთაზე სხვა ორიგინალური ქართული ლიტერატურული ძეგლებიც შექმნილა. მათგან აღსანიშნავია იოვანე ათონელის „ანდერძი“, რომელიც დაწერილია XI საუკუნის დასაწყისში და, ერთი მხრივ, ქართული ორიგინალური ეგზეგეტიკური აზროვნების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს და, ამასთანავე, პირველწყაროს სიზუსტით აღწერს ეფთვიმე ათონელის ლიტერ-

#550

ატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდს. ქართული ხელნაწერებით ჩვენამდე ეფთვიმე ათონელის სახელით მოღწეულია ერთი ლოცვა, რომელიც საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული, არამედ საზოგადოდ ბიზანტიური ევქოლოგიური ლიტერატურისა (კ. კეკელიძე). აქვე ათონზე, თეოფილე ხუცესმონაზონს დაუწერია „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია. ათონზე მოღვაწეობს ეფთვიმე ათონელის უმცროსი თანამედროვე, სულიერი მამა გიორგი მთაწმინდელისა, ბასილი ბაგრატის ძე. იგი ავტორია „ეფთვიმეს ცხოვრების“ სვინაქსარული ვერსიისა, რომელიც შექმნილი უნდა იყოს ეფთვიმეს გარდაცვალების უმაღლე (ე. გაბიძაშვილი), და საგალობლისა ეფთვიმეზე. ათონის მთაზე მოღვაწეობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფებიც, რომელთაც დიდ ქართველ მოღვაწეებზე - იოვანეს, ეფთვიმესა და ილარიონ ქართველზე ორიგინალური ჰიმნები დაუწერიათ. ასეთები არიან XI საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწენი ეზრა ათონელი და ზოსიმე მონაზონი.

ათონელთა ლიტერატურული საქმიანობა გასცდა ქართული მწერლობის ფარგლებს. წმ. გიორგი ათონელი დიდი სიამაყით წერდა ეფთვიმეს ლიტერატურულ შემოქმედებაზე: „რომლისა-იგი ნამუშავეი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებად, ვითარცა ნესტვ ოქრომსად ჳმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქვეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჰვარი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“. მართლაც, ეფთვიმე ათონელი არ წერდა მხოლოდ ქართულად. მას ბერძნულად დაუწერია ასკეტური შინაარსის თხზულება განდეგილი ბერის მოღვაწეობის წესის შესახებ, რომელიც დღეისათვის დაცულია მხოლოდ ქართულ თარგმანში.

განსაკუთრებული წვლილი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ეფთვიმე ათონელს იმით მიუძღვის, რომ მან ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ორი ბრწყინვალე ძეგლი შუა საუკუნეების მწერლობისა: „აბუკურა“ და „ბალავარიანი“. „აბუკურას“ სახელით ქართველები, როგორც ჩანს, იცნობდნენ უაღრესად მაღალმხატვრულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, „მიქელ საბაწმინდელის მარტვილობას“, რომელიც ათონელ ქართველებს ხელთ ჰქონიათ ჯერ კიდევ X საუკუნეში. ეს თხზულება უთარგმნია ქართული ენიდან ბერძნულად ეფთვიმეს და იგი დღეს ჩვენამდე მოღწეულია გვიანდელი ჩანართის სახით „თეოდორე ედესელის ცხოვრების“

ბერძნულ ტექსტში. უფრო მნიშვნელოვანია „ბალავარიანის“ საკითხი. საქმე ისაა, რომ ეფთვიმეს ქართულიდან ბერძნულ ენაზე გადაუკეთებია მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგური - „ბალავარიანი“, რომელიც ბიზანტიური ლიტერატურის საუკეთესო თხზულებადაა მიჩნეული. იგი ბერძნული ენიდან ლათინურის გზით ევროპის თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა და შუა საუკუნეების ევროპაში ყველაზე პოპულარულ სასულიერო თხზულებად ითვლებოდა. დიდი ათონელი მწიგნობრები თავიანთი ინტერესითა და მოღვაწეობით ჩართულნი იყვნენ ბიზანტიის იმპერიასა და მთელი მაშინდელი საქრისტიანოს პოლიტიკურ, საეკლესიო და კულტურულ ცხოვრებაში.

ათონის ქართული მონასტრის ძმობისაგან მხოლოდ ერთეულები არ ყოფილან ჩაბმულნი სამწერლობო საქმიანობაში. მწიგნობრობა ივირონის მკვიდრთა ძირითადი საქმიანობა იყო X და XI საუკუნეში. ათონის პირველი მამულებელი იოვანე და თორნიკე ზრუნავდნენ ათონის წიგნთსაცავის შექმნისათვის. მათი შეკვეთით და საფასით მდიდრდებოდა ქართველთა მონასტერი წიგნებით. საკმარისია დავასახელოთ ოშკში 978 წელს თორნიკეს დაკვეთით გადაწერილი ქართული „ბიბლია“, რომელიც ახლაც ათონის მთაზე ინახება. ათონელი ქართველები კიდევ უფრო მეტს ზრუნავდნენ ათონზე შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამრავლებისათვის. ეფთვიმე ათონელს გვერდით ედგნენ ცნობილი გადამწერლები: იოვანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოვანე ხახულელი, საბა, ზაქარია მირდატის ძე, არსენი, ბასილი, თეოფანე ხუცესი და სხვანი. ასევე ნაყოფიერად მუშაობდნენ მწიგნობარ-გადამწერელნი გიორგი მთაწმინდელის წინამძღვრობისას — გოგოფა, იაკობი, იოვანე ხარტულარი, ათანასე, ნიკოლა, ევსტრათი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი და სხვანი. ასევე ცნობილია სხვა ათონელი გადამწერლებიც: მიქაელ დაღალისონელი, იაკობ დეკანოზი, იოანე თაფლაისძე და სხვა მრავალი (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები). ათონის მთაზე შეიქმნა ქართულ ხელნაწერთა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაცაა დაცული ივირონის მონასტერში და არაერთგზის აღწერილი მეცნიერთა მიერ (ალ. ცაგარელი, რ. ბლეიკი). უფრო მეტიც, ათონური წარმოშობის ხელნაწერთა გამოვლენა დღესაც გრძელდება. უკანასკნელ ხანს ივირონის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციიდან გამოიკრიბა მეცნიერთათვის დღემდე უცნობი ქართული წიგნები და ხელნაწერები; ხოლო ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში მიგნებულ იქნა ბერძნულ ხელნაწერში ჩაკერებული სამი ქართული ხელნაწერი ფურცელი, რომლებიც ათონური წარმოშობის XI საუკუნის ორი დღემდე უცნობი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტს წარმოადგენს.

ივირონი არ იყო მხოლოდ ქართული მწიგნობრობის ცენტრი. ათონელი ქართველები, როგორც ვნახეთ, კარგად იცნობდნენ ბიზანტიურ მწერლობას და, ბუნებრივია, ამ მწერლობის ქართულ ენაზე გადმოსატანად ივირონში ქმნიდნენ ბერძნულ წიგნთსაცავსაც. მწიგნობრობისადმი ეს დიდი სიყვარული გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც. ყოველ შემთხვევაში, XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც ათონის მთის ბერძნულ ხელნა -

#551

წერთა სრული აღწერილობა შედგა, გაირკვა, რომ ათონის მთის ყველა მონასტერზე უფრო მდიდარი ბიბლიოთეკა ივირონის მონასტერს ჰქონდა. ს. ლომბროსის ცნობილი კატალოგის თანახმად, ათონის მთის ოც მონასტერში XX საუკუნის დასაწყისისათვის ინახებოდა 5076 ბერძნული ხელნაწერი, მათგან 1086 ათონის ივერთა მონასტრის კუთვნილება იყო. ივირონის ბერძენ მწიგნობართა მოწმობით, ივირონის ბერძნული ბიბლიოთეკა XX საუკუნის ბოლოს თავისი სიმდიდრით ათონის მთაზე იყო მეორე, დიდი ლავრის ბიბლიოთეკის შემდეგ.

ივირონის დიდმა მოღვაწეებმა თავისი სახელი დატოვეს არა მხოლოდ თანამემამულეთა - ქართველთა შორის, არამედ ბერძენთა შორისაც. იოვანე, თორნიკე და ეფთვიმე დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ არა მხოლოდ ათონის სამონასტრო ცენტრებში, არამედ ბიზანტიის სამეფო კარზედაც. ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც ათონზე, ისე ანტიოქიის საპატრიარქოში და კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარზე გიორგი მთაწმინდელი. ათონის საბერძნოვნო მძიმე თაობიდან თაობისთვის გადასაცემ მნიშვნელოვან მოვლენად აქცია დიდი თორნიკეს მიერ ახალგაზრდა იმპერატორის - ბასილისადმი გაწეული დახმარება. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ათონის მთამ სამუდამოდ შეინახა დიდი თაყვანისცემა ივირონის პირველმაშენებელთა და წინამძღვართა - იოვანეს, ეფთვიმეს და გიორგის (ივირონის პირველმაშენებელი გიორგი არის გიორგი ვარაზაჩე და არა წმ. გიორგი ათონელი, მაგრამ დღეისთვის ათონზე დაცულ გადმოცემებსა და ჩანაწერებში ივირონის მესამე წინამძღვრის, გიორგის, ბიოგრაფია შევსებულია დიდი მთარგმნელისა და წმინდა მამის, გიორგი ათონელის ცხოვრების ფაქტებით). ათონზე შექმნილი ივირონის მაშენებელთა ქართული აგიოგრაფიული ცხოვრებანი, როგორც ჩანს, ზეპირი გზით გავრცელდა ათონის ბერძნულ მძიმეში. ამის საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი ათონის მთის ბერძნული ხელნაწერებით (№4467 და №4573) დღეისათვის ჩვენამდე მოღწეული ორი ბერძნული ჰაგიოგრაფიული თხზულება: „ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმე იბერისა“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათა ჩუენთა იოვანესი, ეფთვიმესი და გიორგისი, წმიდისა და დიდისა ივერთა ლავრის მაშენებელთა“.

ასეთი იყო ათონის ქართული მონასტრის საღვთისმეტყველო-მწიგნობრული საქმიანობა. ამ საუკუნოვან ლიტერატურულ პროცესში შეინიშნება რამდენიმე ტენდენცია, რომელთაგან, ჩვენი აზრით, არსებითია სამი მათგანი: 1. შეგნება ეროვნული ლიტერატურული დონის ჩამორჩენილობისა იმდროინდელი მსოფლიოს უდიდეს ლიტერატურასთან, კერძოდ, ბიზანტიურ მწერლობასთან შედარებით და დაუცხრომელი შემართება ქართული ლიტერატურის აღორძინებისთვის. ეს ტენდენცია გააზრებული და სიტყვიერად ფორმულირებულია ათონელთა ძირითად ლიტერატურულ ძეგლებში. ამ მიზანდასახულების ხორცშესხმას ემსახურება ათონელ საზოგადო მოღვაწეთა მთელი

საქმიანობა. ეს დიდი ეროვნული პროცესი ათონიდან სხვა დიდ ქართულ ცენტრებში გავრცელდა - შავ მთაზე, პეტრიწონში, საკუთრივ საქართველოში და XII საუკუნისთვის ამ დიდმა ღვაწლმა თავის მიზანს მიაღწია: ქართულ ენაზე გადმოტანილი იყო თითქმის ყველაფერი ძირითადი და საუკეთესო, რაც აუცილებელი იყო შუასაუკუნოვანი ლიტერატურული და თეოლოგიური აზრის ახალი გზით, რენესანსული აზროვნების გზით განვითარებისათვის. 2. შეტოლება და კულტურული მეტოქეობა დიდ ბიზანტიურ მწერლობასთან. ათონელი მწიგნობრები აგრძელებდნენ ბიზანტიურ მწერლობასთან გათანაბრების იმ ტენდენციას, რომელიც ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას ახასიათებდა VIII-X საუკუნეებში. ისინი ცდილობდნენ არა ქართულის ბიზანტიურთან შერწყმას, არამედ ქართულის ბიზანტიურის დონეზე აყვანას. ამან განაპირობა ის, რომ ამ დაუცხრომელი ლიტერატურული საქმიანობის ყველა ეტაპზე ქართველთა მიზანი იყო ბერძნულიდან იმის გადმოტანა, რაც იყო თანადროული, ეპოქის საღვთისმეტყველო და ლიტერატურული პროცესისათვის არსებითი. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ქართველები ისწრაფვიან, ქართული ბიბლიური ტექსტი ზუსტად შეესატყვისებოდეს ბერძნულ ვულგატას; ქართული ლიტურგიკულ-კანონიკური პრაქტიკა სრულყოფილად იყო შევსებული მათი ეპოქის ბერძნული ლიტურგიკული სიახლეებით. ამიტომ უხსნის ეფთვიმე მთაწმიდელი ქართულ მწერლობაში გზას უადრესად ახალ და მისი დროისათვის დამახასიათებელ სტილს ჰაგიოგრაფიაში — მეტაფრასტიკას. მეორე მხრივ, ათონის ლიტერატურული სკოლის ინტერესის ფარგლებს სცილდება ბერძნული ენისა და ლიტერატურის ისეთი ძეგლები, რომლებსაც უპირატესად ჰქონდა მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობა, როგორც ბერძნული ლიტერატურისა და ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის ცალკეულ გამოვლინებას. 3. ეროვნული და ლიტერატურული თავისთავადობის შეგნება. ათონელმა ქართველებმა იტვირთეს მისია ქართული ეროვნული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე გატანისა. ბიზანტია და ბიზანტიური ლიტერატურა მათთვის მხოლოდ გზაა ამ დიადი მიზანსწრაფვისა. ამიტომ, რომ ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ გაემიჯნონ ბიზანტიურს და იცავენ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიურისაგან დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, იყურებიან ევროპული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნებისაკენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიისთვის ის იყო, რომ ათონის ქართული სალიტერატურო სკოლის პრინციპები არ ჩამკვდარა ამ სკოლის

#551

დაქვეითებასთან ერთად. ათონელთა საქმიანობით ახალი ეპოქა დაიწყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ათონელთა მაღალი შემოქმედებითი პრინციპები ქართული ლიტერატურის საერთო პრინციპებად იქცა. ათონი სათავეში ჩაუდგა ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული აზროვნების პროცესს. ქართული საეკლესიო აზროვნება სწორედ იმ გზით განვითარდა, რა გზითაც წაიყვანა იგი X საუკუნის დასასრულიდან ათონის ქართულმა საღვთისმეტყველო სკოლამ.

ამრიგად, ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში შერწყმული იყო ყველა საუკეთესო პრინციპი, რომელიც ემსახურებოდა ქართველი ერის კულტურულ აღმავლობას და საქართველოს ეკლესიის მსოფლიო ასპარეზზე გამოყვანას. ქართული აზრი დიდი ხმის მანძილზე ემზადებოდა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში თავისი სიტყვის სათქმელად. ამ პროცესში ჩანს ის ერთიანი, დამაბული მიზანდასახული განვითარების კულტურული ხაზი, რომელიც საუკუნეებს მოიცავს. ამ დაუღალავ მოღვაწეობას ორი პროგრესული იდეა ასაზრდოებდა: მსოფლიოს იმდროინდელი მოწინავე ქრისტიანული კულტურის დონის ათვისება და მოწინავე მეზობელ ხალხებთან საეკლესიო-კულტურული მეტოქეობა. ქართული კულტურა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ახალი სიტყვის სათქმელად ემზადებოდა, ამ აზროვნების სათავეში ჩადგომას ისწრაფოდა და რუსთველის გენიამ ხორცი შეასხა კიდევ თაობების ზრუნვას, შრომას, ბრძოლასა და ოცნებას.